

საკრებულოს ბოლო სხდომა წინასაარჩევნო ხმაურით



ალიონი. გასულ ხუთშაბათს 2017 წლის მოწვევის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომა გაიმართა, რომელსაც დავით დარჩია უძღვებოდა. სხდომაზე სულ 3 საკითხი განიხილეს. პოზიციის თუ ოპოზიციის

კრიტიკის ობიექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე იყო. პირველი საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავი ქონების პრივატიზების ნუსხის დამტკიცე-

ბას შეეხებოდა. მიწის 14 ნაკვეთი, ურეკში, ნატანებში, ლიხაურში, ლაითურში, ნაგომარსა და თხინვალში პრივატიზებული იქნება, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გრეიდერის, ექსკავატორის გაყიდვაზე საკრებუ-

ლომ მერიას უარი უთხრა. მერიის წარმომადგენელმა განმარტება, რომ ეს ტექნიკა გაიყვითა, ბევრი საპონ-საცხები მასალები და სხვა მარაგ-ნაწილები სჭირდება, ამიტომ სვობს გაიყიდეს და ახალი შეიძინონ, არ მიიღეს. —არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ ტექნიკის გაყიდვა. მერიამ ჯერ თანხების მობილიზება მოახდინოს და შემდეგ ვიფიქროთ ძველის გაყიდვასა და ახლის შეძენაზე —თქვეს საკრებულოს სხდომაზე. —თუ არ გამოვადგებოდა, რატომ შევიძინეთ, ახლა 145 ათას ლარად შეძენილ ტექნიკას 56 ათას ლარად ვყიდით — თავისი პოზიცია დააფიქსირა ნაციონალების ადგილობრივმა ლიდერმა დავით მჭავანაძემ. **ლავერენტი ბიგვაჯა:** —რატომ შევიძინეთ? სჭირდებოდა მუნიციპალიტეტს. საკითხის განხილვა გადავლოთ შემდეგისთვის, სანამ

ახლით ჩანაცვლების საშუალება არ გაჩნდება. —ბორბლებიან ექსკავატორს რატომ ვყიდით. ახალს საპონი მასალები და მარაგ-ნაწილები არ დასჭირდება? —კვლავ დასვა კითხვა დავით მჭავანაძემ. როგორც განუმარტეს, ამ ეტაპზე არც ექსკავატორს გაყიდა. მეორე საკითხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო მასალების განთავსების რეგულაციას ეხებოდა. საავტომობილო მასალები წელსაც განთავსდება მგზავრთა მოსაცდელზე, კედლებზე, მინი მოედნების ღობეებზე, გარე განათების ბოძებზე, მწვანე ნარგავებზე და ა.შ. შემდეგ მუნიციპალიტეტის მერის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე იმსჯელეს. საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ აღნიშნა, რომ ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე არ მივიდა სხდომაზე და არც მუნიციპალიტეტის მერიის არცერთი სამსახურის უფროსი სხდომას არ დასწრებია და დეპუტატებს სთხოვა თავიანთი აზრი დაეფიქსირებიათ: **მარი ჩხიკვიშვილი,** ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე: —საკრებულოს სხდომას მერი ან მისი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა. ძალიან უპასუხისმგებლობაა. მან დიდი ხანია საარჩევნო კომპანია დაიწყო. პირადად წვევებს სოციალური დახმარების საკითხებს. მერის სარეზერვო ფონდიდან დახმარებას იღებენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მისი მომხრეები არიან. **ლელა საჯაია,** საკრებულოს განათლების, კულტურის, სოციალურ და ახალ-





ა ღ ი ო ნ ი

გ უ რ ი ა

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ქოველკვირეული გამოშვება. № 26 (10396) 16 აბზისტო, 2021 წ. შპსი 60 010101.

სოფელი

„არსებობს მტკიცებულებები, რომ ფულს არიბებენ“ – ოპოზიციამ პროკურატურას მიმართა

ქ. ოზურგეთში, გაერთიანებულმა ოპოზიციამ, გასულ ხუთშაბათს პროკურატურაში სარჩელი შეიტანა. მათი განცხადებით, „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის მოსყიდვას აგრძელებს და ამის დამადასტურებელი აუდიო - ვიდეო ჩანაწერებიც არსებობს. მათი თქმით, ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს, როგორ აძლევს თანხას, შტაბის წევრი, გელა ჭანუყვაძე პირს, რომელიც როგორც

ირაკვეა კოორდინატორია: — ეს არის პირდაპირი მტკიცებულება, რომ „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის მოსყიდვითაა დაკავებული. გარდა ფულის გადაცემის კადრებისა, ასევე გავრცელდა საუბრის ჩანაწერი, სადაც ქალბატონი, რომელმაც თანხა აიღო, ადასტურებს რომ ეს ფული არა წყლის ან ხელფასისთვის იყო, რომელსაც „ქართული ოცნების“



ვინ ჩაიტანს პროექტს ნაბომარში

თამარ მარგანიშვილი
მას შემდეგ, რაც 2 აგვისტოს, ნაგომარში ხანძარმა შთანთქა ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც განთავსებული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ადგილობრივი წარმომადგენლობა, საბავშვო ბაღი და საექიმო ამბულატორია, სოფელში მოქმედი ეს სტრუქტურები ფაქტობრივად სავსე პირობებში მუშაობს. „ექსპერტიზის პასუხის მოსვლამდე, ხანძრის გამოწვევებზე მიზეზად ძველი ელექტროგაყვანილობა სახელდება. უხეში გათვლებით, მიყენებული ზარალი 800 ათას ლარს შეადგენს“, — გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა მიხეილ ცქიტიშვილმა.



სოფლის ხელმძღვანელობა და საექიმო ამბულატორია დროებით, ალბათ, გადაინაცვლებენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 88 ათას ლარად ახალგადახურულ კულტურის სახლში, მასში შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ. რაც შეეხება, საბავშვო ბაღს, ცქიტიშვილის თქმით, სოფლის ცენტრში, კერძო სექტორში, ადგილობრივ მოსახლეობაში ეძებენ ისეთ სახლს, რომელშიც შესაძლებელი იქნება სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულების დროებით განთავსება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მაკა ჭყონიას განცხადებით კი, დახმარების თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება იაპონიის საელჩოსთან. სტატისტიკით ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ნაგომარში ცუდად არ გამოიყურება. 550-კომლიან სოფელში, საიდან 394 მოქმედია, 4 ადამიანი იმყოფება თვითიზოლ-

აციაში და გადის შესაბამის მკურნალობას. როგორც მიხეილ ცქიტიშვილმა გვითხრა, ნაგომარელები ფრთხილდებიან და იცავენ კორონა ვირუსის საწინააღმდეგო რეგულაციებს. სოციალური მდგომარეობა, თითქმის ისეთივეა, როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში, მოსახლეობის თითქმის ნახევარი სარგებლობს პოლისებით, რადგან მათი სარეტიზგო ქულა 100 000-ზე დაბალია. სოფლის შარავზაზე კაცის

ჭაჭანება არ ჩანს. საქმე ისაა, რომ მოსახლეობა თხილის პლანტაციებშია გასული და ცდილობენ უდანაკარგოდ აიღონ ამ კულტურის საკმად კარგი მოსავალი. ერთწლიანი სავარგულების უმეტესობა წლეულს დაითესა და სიმინდის ყანებსაც ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს. მიხეილ ცქიტიშვილის მოუცვლელობის გამო, მგზავრობა მისმა მოადგილემ ვია გოგ-



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე
«ალიონით»

„არსებობს მტკიცებულებები, რომ უფლს არიბებენ“ – ოპოზიციამ პროკურატურას მიმართა

წარმომადგენლები ავრცელებდნენ, არამედ საარჩევნოდ, ხალხისთვის დასარიგებლად. წესით, პრიკურატურას თავადვე უნდა დაეწყო გამოძიება ამ დანაშაულზე, მაგრამ არ გააკეთეს. ამიტომაც მივმართავთ ჩვენ და მივითხოვთ, რომ აღიძვრას სისხლის სამართლის საქმე – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ლიდერმა დავით მჭავანაძემ.

დავით მჭავანაძესთან ერთად იუსტიციის სახლში (სადაც პროკურატურაცაა) მივიდნენ „ევროპული საქართველოს“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეები მიხეილ გოგოტიშვილი და ლადო ვადაჭკორია.

ოზურგეთის სატყეო უბნის უფროსი დააკავეს

გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის ალბის ფაქტზე, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ გურიის სატყეო სამსახურის ოზურგეთის სატყეო უბნის უფროსი ზ. ვ. დააკავეს.

ასევე სუს-ის ინფორმაციით, გამოძიებით დგინდება, რომ მოქალაქეს 102 კუბური მეტრი ხე-

ციების თავმჯდომარეები მიხეილ გოგოტიშვილი და ლადო ვადაჭკორია. „ქართული ოცნების“ ოზურგეთის შტაბში აღნიშნულ ბრალდებას უსაფრთხოდ უწოდებენ. იქ ამბობენ, რომ „ქართული ოცნების“ შტაბში თანხის დარიგება, ასევე წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის მოსყიდვა სიმართლეს არ შეესაბამება და ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

გაერთიანებული ოპოზიცია კი შერჩევით სამართალზე საუბრობს და სამართალდამცავ ორგანოებს ობიექტური გამოძიებისაკენ მოუწოდებს.

ტყის მასალის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემის სანაცვლოდ, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ გურიის სატყეო სამსახურის ოზურგეთის სატყეო უბნის უფროსი მოქალაქეს ქრთამის სახით 2 000 ლარი გამოართვა, რადროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება ქრთამის ალბის ფაქტზე მიმდინარეობს.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე დაესწრო. ფორუმის მიზანს „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025“-ში ასახული პრიორიტეტული მიმართულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი კონკრეტული აქტივობების შემუშავება წარმოადგენს. ფორუმზე სააგენტომ ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტის საძოქველი გვემის ამ ეტაპზე შემუშავებული ვერსია წარადგინა. ახალგაზრდებისგან მიღებული რეკომენდაციები შევამდგება და მომზადდება ანგარიში, რომელსაც სააგენტო „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის 2025“-ის საქმიანობის

მის შემუშავებისას გაითვალისწინებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასრულდა „ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა“, გამართა სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, სადაც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიმდინარე წელს დამტკიცდა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, გაიწერა 3 წლიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ამავე წელს მოხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა, ხოლო მომავალი წლიდან კი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესაბამისად, სამეცნიერ-პალიტეტს ექნება შემუშავებული დოკუმენტი, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი ურუშაძის ხელმძღვანელობით, სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საბილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განიხილეს და შეარჩიეს ის პროექტები, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს; ასევე, განიხილეს მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხები და საჭიროებები.



საკონსულტაციო საბჭოს სხდომას რწმუნებულის მოადგილეები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

რატომ დაატოვებინეს თანამდებობა გურიის-აჭარის იზოლატორის უფროსს



გურია-აჭარის იზოლატორის უფროსმა ვალერი ბურჭულაძემ, რომელიც სისტემაში 26 წელი მუშაობდა თანამდებობა დატოვა. ბურჭულაძე ამბობს, რომ მას სამსახურიდან წასვლა აიძულეს. მისი თქმით, მიზეზი, ხელმძღვანელთან, ზვიად წაქაშვილთან გაგზავნილი ესემესი გახდა, რომელშიც სახელი შეეშალა:

„ჩემს უფროსს, ზვიად წაქაშვილს სმს გაუგზავნე, რომელშიც ვატყობინებდი იზოლატორიდან გათავისუფლებული პირის, ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი კირთაძის შესახებ. სმს, რომ ავკრიბე, ინსტიტუტურად, ბატონო გიორგი იმიტომ. მათ კი, სავარაუდოდ, ჩათვალეს, რომ სმს გიორგი გახარაის ვუგზავნიდი და ამის გამო თანამდებობის დატოვება მომთხოვეს“, – ყვება ვალერი ბურჭულაძე.

ბურჭულაძე ამბობს, რომ მის 26 წლიან მუშაობას ისე გადაუსვეს ხაზი, რომ არც კი დაინტერესებულან ჰქონდა თუ არა კავშირი გიორგი გახარაისთან:

„გიორგი გახარაის მინისტრობის დროს დამაწინაურეს. ალბათ, ამიტომ იფიქრეს რომ მასთან კონტაქტი მქონდა. არადა, საერთოდ არ ვიცნობ. ნანახიც კი არ მყავს. მართლა ვერ ვხვდები, ასე რატომ მომექნენ. რა დავაშავე. ამდენი წელი ვმსახურე ჩემს ქვეყანას და ისე გამომავდეს, როგორც არაფერი,“ – ამბობს ბურჭულაძე. მისივე თქმით



პოლიციელობა 30 წლის წინ, მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ყარაღბმა, საკუთარ სახლში მამა მოუკლეს და სურდა უსამართლობის წინააღმდეგ ებრძოლა:

„დღესაც ეტყობა ჩემს სახლს იმ ტყვეობის კვალი, რომლითაც მამაჩემი ჩაცხრილეს. ამ ხნის განმავლობაში პატიოსნად ვმსახურობდი, უსამართლობას ვებრძოდი და თავად ავლმონხდი უსამართლობის მსხვერპლი. ერთი დანაშაული არ მაქვს, ერთი საყვედური. დანაშაულად იმას მითვლიან, რომ სმსის დროს სახელი შემეშალა და 2 წლის წინ, იზოლატორის განსხაზე ნათია მეზერიშვილთან ფოტო მაქვს გადაღებული“, – ამბობს ვალერი ბურჭულაძე და ამტკიცებს, რომ ხელმძღვანელებს ისიც კი უახსნიათ კონკრეტულად რატომ უნდა წასულიყო:

„თბილისში დამიბარეს. ზვიად წაქაშვილი არც კი შემხვდა. მოადგილემ მითხრა, რომ უნდა დამეწერა განცხადება და წავსულიყავი. 26 წლის შესრულებას 17 დღე მაკლდა და ესეც არ დამითმეს. განცხადება დამაწერინეს და გამომიშვეს“, – აღნიშნავს ბურჭულაძე. რატომ აიძულეს სამსახურიდან წასვლა ბურჭულაძეს და უკავშირდება თუ არა ეს გიორგი გახარაისს, ამის გაგებას ზვიად წაქაშვილისგან შევეცადეთ, თუმცა, იზოლატორების განყოფილების უფროსმა ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

სოფელი

ვინ ჩაიტანს პროექტს ნაგომარში



შესადგენელი ფართობებში შედგება. დიდი საქმე კეთდება, მესამე დღეა, რაც ინტენსიურად მუშაობენ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ რაც გააკეთეს, ხარისხიანად გააკეთეს, რისთვისაც ნაგომარელთა მადლობას იმსახურებენ“ – გვითხრა სოფლის მკვიდრმა, პოლიციის პოლიკონსტაბლმა, ამჟამად პენსიონერმა გიგლა საბულიანმა.

გადავხედეთ წიქარიძეების ლურჯი მოცვის პლანტაციას, საიდანაც წლევას 20 ტონამდე მოსავალი მიიღეს. ლურჯი მოცვის კულტურაზე სოფელში კიდევ რამდენიმე კაცია ორიენტირებული, საკმაოდ დიდ, 10-დან 60 ჰექტარამდე ფის კონტურებზე, ზოგმა უკვე გააშენა, ზოგიც კიდევ ნაკვეთის კულტივირებას ეწევა.

როგორც ვინა გოგობერიძემ გვითხრა, სოფელში ორი მცირე-გაბარიტანი ჩაის ფაბრიკაა: ნანა ყირმელაშვილისა, რომლის ხარისხიანი პროდუქცია უკვე საქვეყნოდაა ცნობილი. ნანა უკვე მოსავლის გადამამუშავებას ვერ აუღის და მომავლისთვის აპირებს ფაბრიკის წარმადობის გაზრდას. მეორე ფაბრიკა კი, რომელიც გაისად შეეკუსა პლატაში, მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენ ღუმბაძეს ეკუთვნის აქვე მდებარე 16 ჰექტარი ჩაის პლანტაციით. საწარმოო საქმიანობას აქ ბიზნესმენის ძმა განაგებს.

ჩაი ნამდვილად არის ნაგომარსა და მის მსგავს სოფლებში დასაბრუნებელი და აღსადგენი კულტურა.

გამომშვიდობებისას სოფლის ცენტრს კიდევ ერთხელ მოვავლეთ თვალი, რომელიც როგორც რელიეფით, ისე ინფრასტრუქტურით ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ გურიაში, მას განსაკუთრებულ პეწს მატებდა არქიტექტურულად სრულქმნილი ადმინისტრაციული შენობა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ამ თვის დასაწყისში ხანძარმა გაანადგურა და ჯერჯერობით არავინ იცის,

როლის აღდგება. ან კი აღდგება საერთოდ?

„ჭრიჭინა“ ხომ გინახავთ, ქართული მხატვრული ფილმი, რომელიც დიდმა სიკო დოლიძემ სწორედ ამ სოფელში გადაიღო? გაიხსენეთ, რას ამბობს ჭრიჭინაზე ყურებამდე შეყვარებული ამ ფილმის პერსონაჟი შოთა, პროფესიით არქიტექტორი: მივალ ნაგომარში, მიმაქვს პროექტი. ჰოდა, საინტერესოა, ახლა ვინ ჩაიტანს ამ შენობის აღსადგენად შესაბამის პროექტს ნაგომარში.



დამწვარი ადმინისტრაციული შენობა

იბერიძემ გაგვიწია, თავისი ტრანსპორტით მთელი სოფელი მოგვატარა, შესაბამისი ინფორმაციებიც გაგვაცნო, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდებით მას.

ადრეც ვწერდით, რომ ნაგომარში შიდა გზები, რომლის ჯამური სიგრძე სულ რაღაც 19 კილომეტრია, ცუდ მდგომარეობაშია. დღემდე დიდად არაფერი შეცვლილა, მიზეზი კი პანდემიით გამოწვეული რთული ვითარებაა. თუმცა, როგორც ვინა გოგობერიძემ გვითხრა და გვიჩვენა, ამ თვალსაზრისით შეინიშნება სასიკეთო ძვრები: წმინდა ეკატერინეს სახელობის დედათა მონასტრის მიმდებარე

ტერიტორიაზე ჩატარდა გზის მოხრეშვითი და მოსასწორებელი სამუშაოები. ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ჟანაურას სხვა და მალალი ევრის უბნებში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საგზაო ტექნიკის გამოყენებით, მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება საყანე ფართობებში მისასვლელ გზას ორი მიმართულებით.

„ეს გზა წლების განმავლობაში ფაქტობრივად ამორტიზებული იყო იმ დონეზე, რომ მოსახლეობას საყანე ფართობებიდან მოსავალი ვერ გამოჰქონდა, მხოლოდ შემოვლითი, საკმაოდ გრძელი გზით იყო

საკრებულოს ბოლო სხდომა წინასაარჩევნო ხმაურით



გაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: – ძალიან უყურადღებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. რა მდგომარეობაშია არტემ ერქომაიშვილის სიმღერისა და გალობის მუზეუმი მაკანეთში, ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმი შემოქმედში; ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში, დღემდე არაა საზოგადოების სამსახურში, რადგან მერამ არ შეასრულა მათზე დაკისრებული მოვალეობა, არ მოაწყო საექსპოზიციო დარბაზი.

ხათუნა ცერცვაძე, დეპუტატი: – ძალიან მოხარული ვიყავით, როცა ვომისმთის განვითარების გეგმაზე ვსაუბრობდით, შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, გვქონდა მოლოდინი, რომ მალალი დონის კურორტი იქნებოდა, მაგრამ შეჩერებულია ეს ყველაფერი.

გიორგი ლურჯუმიძე, საკრებულოს თავმჯდომარე: – ოზურგეთის მერიას

ბულოს თავმჯდომარის მოადგილე: – სტრატეგიული იყო ვომისმთის თემა, რომ შეჩერებულიყო უკანონო მშენებლობის პროცესი, რამაც დაიწყო ეს კურორტი. დღეს დეტალური ანგარიში უნდა წარმოედგინა მერს. მუზეუმის რემონტზე სახელმწიფომ 1,8 მილიონი ლარი დახარჯა, უნდა მოწყობილიყო ექსპოზიცია; ცუდ მდგომარეობაშია არტემ ერქო-მაიშვილის სახელობის სიმღერისა და გალობის მუზეუმი; მერამ კოსტავას ქუჩაზე დანგრევის პირასაა 35 წლის წინ აგებული ბაღის შენობა და საბავშვო ბაღი კერძო შენობაშია განთავსებული. ჯერ-ჯერობით არ გამოინახა 400-500 ათასი ლარი, რომ ახალი ბაღი აგებულიყო. საერთოდ საბავშვო ბაღების სტანდარტი უნდა ავამაღლოთ;

ვინა ჩაგანავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: – ოზურგეთის მერიას

6 თვის ფინანსური ანგარიში არ წარმოედგინა. ამან შრომის ანაზღაურებაზე ხელფასების გაცემაზე, შესაძლოა პრობლემები შექმნას;

დავით მჭავანაძე, დეპუტატი: – ვომისმთის პრობლემა ადრე დაიწყო. მეც ვიყავი ვომისმთის დამცველი. რამდენმა თქვენმა მეგობარმა და ახლობელმა წამოჭიმა იქ უსახური შენობა? ამაზე პასუხისმგებლობა იუსტიციის ყოფილ მინისტრს თუა წულუკიანს უნდა დაეკისროს. შარშან, ვომისმთაზე ყოფნისას, მან გაუხსნა გზა უნებართვოდ აგებული სახლების გაფორმების თემას და ვომისმთის სენი ბანკაროსაც გადაედო. დაიღუპა კურორტი ბანკარო და ამაზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრება. ამ უკანონო მშენებლობის მწარმოებლები „ქართული ოცნების“ აქტივისტები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. გელა არაშიძე, საკრებულოს ფრქაცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე: – დათო, როცა ბრალდებას ამბობ, ერთი კონკრეტული ფაქტი ან პიროვნება მაინც დაასახელო.

ბესო ქათამაძე, დეპუტატი: – თქვენ, ერთეული დეპუტატების გამოკლებით, ოზურგეთის მერს უკრავდით ტაშს და თვალეში უყურებდით. ახლა კი ლანძღავთ.

2017 წლის მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა დასრულდა. მუდმივმა ოპონენტებმა მარი ჩხიკვიშვილმა და დავით მჭავანაძემ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს

მოსახლეობის სიღარიბის შეფასების კვლევის პროზენტაცია გაიგარა



II აგვისტოს ლისაურის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმში, პროექტ „გურიის ეროვნული პარკის“ შექმნისთვის საწყის ეტაპზე განხორციელებული მოსახლეობის სიღარიბის შეფასების კვლევის პროზენტაცია გაიგარა.

გურიის რეგიონისთვის მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ანალიზის (MDPA) კვლევა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადდა და მისი მიზანია გურიის ეროვნული პარკის პროექტის განხორციელების არეალში დეტალური ინფორმაციის მიღება სიღარიბის განზომილებების შესახებ, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება გურიის ახალი ეროვნული პარკის შექმნის პროცესში.

აღნიშნული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ, შეირჩა ორი პარტნიორი ორგანიზაცია: „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი“ და „სტრუქტურ-აზალგაზრდული სათათბირო“.

პრეზენტაციას, მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა დანტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, ეროვნული პარკის დაარსება ახალ მნიშვნელობას შეისძენს მთლიანად რეგიონს და მიზნად ისახავს გურიის ტყის ლანდშაფტებში არსებული გამოწვევების, კერძოდ, ადამიანის შემოქმედებით მიღებული ზიანის შეჩერებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და ეკოსისტემის შენარჩუნებას, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების მოზიდვას და ცუდ ტერიტორიებზე და ადგილობრივ მოსახლეობას დამატებითი ეკონომიკური სარგებლის გაჩენის შესაძლებლობას მისცემს.

აღნიშნულ პროექტს, დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), შევდივის საულოის ფინანსური მხარდაჭერით, ადგილობრივი ხელისუფლების და მოსახლეობის აქტიური ჩართულობით ახორციელებს.

ტოგო ღუმბაძე – კლასიკური

დაბადებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით



ტოგო ღუმბაძე

ოზურგეთში სპორტის სხვადასხვა სექციის ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შემოქმედელ ტოგო ღუმბაძეს,

მოქმედში გადმოვიდა, ხოლო სწავლას ბათუმის გიმნაზიაში აგრძელებდა.

1921 წელს იგი გახდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წევრი, რომლის ვარჯიშთავე გიორგი მერკვილაძე იყო. ნიჭიერი სპორტსმენი ფეხბურთის განწვევრის ხელმძღვანელად დანიშნეს.

ტოგო ღუმბაძემ მოკლე დროში ჩამოაყალიბა სამი ჭაბუკთა და ერთი უფროსი ასაკის გუნდი, რომელშიც იგი თამაშობდა და ამ გუნდის კაპიტანიც იყო.

ეს გუნდები იყვნენ: **ბლკო** – ბათუმის ნება-ყოფლობითი სახანძრო რაზმის გუნდი;

„**სოკოლი**“ – რუს. „შევარდენი“;

ალომბიძე, ლუკა ყაზაიშვილი, სამსონ მენაბდე, კოლია დვალიშვილი, მიშა შარაშენიძე, სტეპკა ერქომაიშვილი, დათიკო ფირცხალაიშვილი, გოგია ახალაძე და სხვები.

როგორც ტოგო ღუმბაძე შემდგომში მოგონებებში წერდა, 1922 წლის შემოდგომაზე მას ოზურგეთელმა მოსწავლეებმა სთხოვეს, ოზურგეთში წამოსულიყვნენ და მოეწყობათ საჩვენებელი თამაში ფეხბურთში. ამის შესახებ გიორგი მერკვილაძეს სთხოვეს ნებართვა და სექტემბრის დამლევს სპორტულ ფორუმში გამოწყობილმა კოლონამ გაიარა ოზურგეთის მთავარი ქუჩა **შალვა ხუჭუას** ორკესტრის თანხლებით. ორკესტრი იმ დროს პოულარულ მარშს „ნინას ჰყავდა შავი შაში“ უკრავდა. გაიმართა პირველი საჩვენებელი შეხვედრა ფეხბურთში.

იმავე დღეს გაიმართა ასევე ვარჯიში ლერძზე, შეჯიბრი კრივი და კლასიკურ ჭიდაობაში.

„ავედით სკოლის სერზე – თან აგვევა დიდძალი ხალხი: მედუქნები, ნოქრები და ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობა.

სპორტული გამოსვლა ჩვენ ჩავატარეთ სკოლების სერის მოედანზე (შემდეგ ამ მოედანზე აიგო ჩაის და პედ.ტექნიკუმის შენობები).

ოზურგეთის საზოგადოებისათვის ეს იყო პირველი ხილვა ფეხბურთის თამაშისა, ყველაზე მეტად ახალგაზრდობა აკვირდებოდა, თუ როგორ გავებრეთ „ნასოსით“ ბურთი.

ჩვენი გამოსვლის დროს გაირკვა, რომ ოზურგეთელ ახალგაზრდობას სკოლნია ლერძზე ვარჯიში. ორმა ახალგაზრდამ (ერთი იყო პავლუშა შარაშენიძე) ჩვენთან ერთად ივარჯიშა ლერძზე, ხოლო კრივი და კლასიკური ჭიდაობა პირველად იხილეს. სამაგიეროდ, ქართულ ჭიდაობაში კიდევაც საჭიდაოდ გამოკვიწყდეს და მომიხდა ჭიდაობა ოზურგეთელ მოსწავლე მიხაკო ფირცხალაიშვილთან. ჭიდაობა ერთ საათამდე გაგრძელდა. ღონით მიხაკო მზავრავდა, ხოლო ხერხები გამოყენებით მე – ეს შერკინება უშედეგოდ დასრულდა.

იმავე საღამოს ოზურგეთელმა ახალგაზრდობამ გაგვიმართა ვახშაში სიამაშვილის სასადილოში, ხოლო მეორე დღის დილაადრინად ნატანებისაკენ ფეხით გავუყვებით ვზას.“ – იგონებდა ტოგო ღუმბაძე.

1923 წელს ტოგო ღუმბაძემ ზვანის ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებულ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ვარჯიშთავად დაიწყო მუშაობა. იმავე წელს ახალგაზრდულმა სამაზრო კომიტეტმა ზვანის სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“ გააუქმა და ქალაქის სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“ ჩამოაყალიბა.



სოფ. შვირქვიძე, 1922წ. სურათი გადაღებულია ალექსი იორაშვილის ფოტო. მარცხნიდან პირველი მღას ტოგო ღუმბაძე

„ზვანის სკოლა ამჟამინდელ ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. სკოლის მოედანზე ახალგაზრდული ძალებით დაედგით კუსტარული ღერძი, ორძელი, ჩამოკიდეთ რგოლები. გარდა ამ სამ იარაღზე ვარჯიშისა, ვასწავლიდით თავისუფალ ვარჯიშებს, მძლეოსნობიდან: ევისათვის ქალაქის „სპარტაკი“ იმდენად გაიზარდა და თანაც მოვარჯიშეთა ტექნიკა ამაღლდა, რომ იგი რადგან სპეციალობით ფეხბურთელი იყო, მისი ინიციატივით ბათუმიდან ამოიყვანეს კარგად მომზადებული ტანმოვარჯიშე კარლო გამსახურდია, რომელიც „სპარტაკის“ ვარჯიშთავად დანი-



მ. ნოვოროსიისკის „პოდვინსკის“ სახელობის ფეხბურთელთა გუნდი. 15.06.1920წ.

რომლის სახელს უკავშირდება ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის – ფეხბურთის პირველი გუნდის შექმნა ოზურგეთში.

ტოგო ღუმბაძემ ფეხბურთის თამაში დაიწყო დაიწყო 1919 წელს, ქ. ნოვოროსიისკში, სადაც

„**ხოლოდნია სლობოდა**“ – დასახლება „გარადოკის“ მუშა-ხელოსანთა გუნდი;

„**შევარდენი**“ – ქართველ ახალ-გაზრდათა გუნდი.

იმ ჭაბუკთა გუნდებში, რომლის წევრებს ფეხბურთის თამაშს



ბათუმის „შევარდენი-1“ (გუნდის კაპიტანი ტ. ღუმბაძე)

იმჟამად ცხოვრობდა და სწავლობდა. 1920 წელს აქ ჩამოყალიბებიათ პოდვინსკის სახელობის სპორტკლუბი, რომლის თავმჯდომარედ იგი აირჩიეს.

1921 წელს იგი საცხოვრებლად მშობლიურ სოფელში, შე-

ტოგო ღუმბაძე ასწავლიდა, რამდენიმე ოზურგეთელი ახალგაზრდა იყო, რომლებიც სწავლობდნენ ბათუმის გიმნაზიაში. ესენი იყვნენ: პეტრე ჭელიძე, კუკუერი შაქარაშვილი, ალიონა ვაშ-



ამდ. ტამნიკუშთან არსებული 7-წლევანის ფიზკულტურის წრე, 1934 წ.

რბენებს, ხტომებს და ბირთვის კვრას.

„სპარტაკში“ 80-100 ახალგაზრდა იყო გაერთიანებული. რადგან ფინანსური საშუალება არ გავკანხდა, ორგანიზაციამ იჯარით აიღო ახლადდაწყებული ნატანები-ოზურგეთის რკინიგზის მიწის საშუალები, რომელშიც ჩართო „სპარტაკის“ ყველა წევრი, აღებული ანაზღაურებით 80 სპორტული ფორმა შეუკერეთ ბიჭებსაც და გოგონებსაც და სპორტული გაფრენები მოვაწყვეთ შემოქმედსა და ლიხაურში“ – იგონებდა იგი.

ტოგო ღუმბაძე ასევე იგონებდა, რომ 1923 წლის დამლ-

შნეს. მან საუკეთესოდ წარმართა მუშაობა.

1924 წლის თებერვალში, ქალაქის თეატრში დიდი ტანვარჯიშული საღამო გაიმართა, რომელიც 4 საათს გაგრძელდა. ეს იყო პირველი სპორტული საღამოს მოწყობა ოზურგეთის სინამდვილეში. იმავე წლის მაისში ასეთივე საღამო მოეწყო ქალაქის ბაღში.

ვის ასახლებს ტოგო ღუმბაძე წამყვან ტანმოვარჯიშეებად: მიტო ჭვიშვილი, ივანე კამპანიოვსკი, აკაკი ცხომელიძე, პეტრე ჭელიძე, ლეონიდე სიხარულიძე, კუკური



ფეხბურთის უმეცნეო ოზურგეთში



საქართველოს ქალთა ტანვარჯიშის უმეცნეოს მონაწილეები ოზურგეთში. 8 მარტი 1938 წ.

შაქარიშვილი, ივანე გობრონიძე.

1924 წლის ივლისში ტოგო ღუმბაძემ ოზურგეთის ჰუმანიტარული ტექნიკუმი დააამთავრა და მასწავლებლად მუშაობა აკარაში-ჩაქეში დაიწყო.

სოფელ შემოქმედში ფეხბურთელთა გუნდის პირველი ფოტო 1922 წელს ალექსი იორაშვილის ეზოში გადაღებული, თუმცა შემორჩენილ მოგონებებში ტოგო ღუმბაძე წერს, რომ მან 1925 წელს სოფელ შემოქმედში ჩამოაყალიბა სოფლის ფეხბურთელთა ნაკრები და ბათუმში ინგლისელი მეზღვაურებიდან ლოსის ტყავისაგან დამზადებული (თეთრი ფერის) ნამდვილი საფეხბურთო გუნდი შეუქმნა.

ტოგო ღუმბაძის მოგონებებიდან: „შემოქმედის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კოწია ხუციშვილმა გამოგვიყო სამოედნო ნაკვეთი სოფლის განაპირას „ნაკალევეზე“, რომელიც გავასწორეთ, შემოვხაზეთ, დავრგეთ შტანგები, შევუდექით წვრთნა-თამაშებს. 1925 წლის 10 აგვისტოს ამოვიყვანეთ ქ. ბათუმიდან მოსწავლეთა გუნდი, ვეთამაშეთ და მოუვეთ ანგარიშით 2:1. შეჯიბრზე დასწრება ფასიანი იყო. მოედანზე მოწყობილი იყო ბუფეტი და უკრავდა სასულე ორკესტრი შალიკო ხუჭუას კაპელმაისტერობით.“

იმავე წელს ჩამოყალიბდა ოზურგეთის ფეხბურთელთა გუნ-



მანარაძის მმ-2 ნაკრები, 1938 წ მარტის დღიდან პირველი ტოგო ღუმბაძე

მანეთს და კვლავ შემოქმედის გუნდმა გაიმარჯვა 1:0.

ამ შეჯიბრს დიდძალი ხალხი დაესწრო და აქაც შალვა ხუჭუას ორკესტრი უკრავდა.

შემდგომ წლებში ოზურგეთის გუნდი გაძლიერდა და ტოგო ღუმბაძის თქმით, ისინი უფრო ხშირად უგებდნენ შემოქმედელებს.

ოზურგეთში ყველაზე ძლიერი გახდა აბრეშუმის ფაბრიკის გუნდი, რომლის კაპიტანი ლადიკო ბაჯელიძე იყო; ზვან-მოიდანასის გუნდს ხელმძღვანელობდა კარლო თოხაძე; სერის გუნდს — ვალერიან ლესელიძე, ტოგო სიმეულიძე; საზენკლო სახელოსნოს გუნდს — პეტრე თოდრაძე; თეატრის გუნდს ქუცუნია ქადეიშვილი.

ტოგო ღუმბაძე იხსენებდა საინტერესო პირველ თამაშებს ფოთის გუნდთან (2-ჯერ), ზესტაფონის, ბათუმის, ხაშურის, ჩოხატაურის გუნდებთან.

1927 წელს ბათუმელები (ე.წ. „ჩოხატაურის გუნდი“) შემოქმედში 1:3 დამარცხდა, ხოლო 1929 წელს შემოქმედელები ფოთში 1:7 დამარცხდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იმ დროს ფოთის გუნდში გამოდიოდნენ: ბორის პაიჭაძე, კაკო ყალიჩავა, მიტრო ასათიანი, გვანი გორბენაძე, (1955-1956 წლებში ოზურგეთის „კოლმეურნეს“ მთავარი მწვრთნელი), გრიგოლ გაგუა, ფერეხ ლაითაძე და სხვები.

ფოთელებმა 1927 წელს ოზურგეთში დაამარცხეს რაიონის პირველი გუნდი, ანგარიშით 4:1. ამ მატჩთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს ბორის პაიჭაძეს. (იხ. ო. გაგუა, „ბორის პაიჭაძე“, გვ. 27).

შემოქმედის გუნდის წარმატებებზე წერდა იმჟამინდელი რაიონული პრესა.

წერილში „შემოქმედის ფეხბურთელთა გუნდი“ კითხულობთ:

„საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ატარებს 1937 წლის გათამაშებას საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში საკოლმეურნეო გუნდებს შორის.“

გათამაშებაში მონაწილეობს საქართველოს 12 სარაიონო საკოლმეურნეო გუნდი. ჩვენი რაიონიდან კი შემოქმედის გუნდი ტოგო ღუმბაძის ხელმძღვანელობით.

შემოქმედში ფეხბურთელთა გუნდი არსებობს 1925 წლიდან. 1930 წელს იგი საკოლმეურნეო ახალგაზრდობის გუნდად გადაკეთდა. გუნდს ჩატარებული აქვს მთელი რიგი ოფიციალური თამაშები ფოთის, ბათუმის, მანარაძის და სხვა გუნდებთან.

გუნდის 15 წევრიდან 13 კოლმეურნეობის აქტიური წევრია.


გუნდმა საქართველოს პირველობაზე ჩატარა 3 წრე და აიღო დასავლეთ საქართველოს პირველობა. ახლო მომავალში იგი შეხვდება ქ. თბილისში აღმოსავლეთში გამარჯვებულ გუნდს.“ („ლენინის დროშა“, №69, 15

აგვისტო, 1937 წ.).

ამ პერიოდში ოზურგეთში ფეხბურთი ძაღვს იკრევდა. 1938 წლის 24 აგვისტოს ოზურგეთის ფიზკულტურის სტადიონზე ოზურგეთის ნაკრები თბილისის „დინამოს“ დაუპირისპირდა. ეს შეხვედრა ოზურგეთელებმა 1:0 მოიგეს. („ლენინის დროშა“, №62, 1938 წ.) მომდევნო წელს კი ბათუმის „ბურვესტნიკი“ დაამარცხეს, ანგარიშით 2:0.

ტოგო ღუმბაძე პერიოდულად ოზურგეთის საჭადრაკო პირველობაშიც მონაწილეობდა. გაზეთის ფურცლები გვაცნობენ, რომ 1938 წლის აპრილში ტოგო ღუმბაძე წარმატებით გამოსულა მასწავლებელთა ტურნირში, რომელშიც 16 ადამიანი მონაწილეობდა.

ცალკე თემაა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი სპორტის მასიურობისთვის იბრძოდა და ცდილობდა მეტი ქალი ჩაბმულიყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში. იგი აქტიურად იყო



გივი ღუმბაძე

თველოს დასავლეთი ზონის ჩემპიონატი, სადაც შემოქმედის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა „ჩაქუხამ“ პირველი ადგილი აიღო.

იმავე წელს ჩატარდა საქართველოს პირველობა „ტყავის ბურთის“ პრიზზე, სადაც „ჩაქუხამ“ კვლავ პირველი ადგილი აიღო. შემდეგ კი ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის გუნდებს შორის მე-3 საპრიზო



შემოქმედის ახალგაზრდობის ფიზკულტურის მოედნის მშენებლობაზე, მაისი, 1941 წ.

ჩაბმული მძლეონობაში, ძალოსნობაში, მონაწილეობდა სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, ჰყავდათ კალათბურთისა და ფრენბურთის გუნდები.

„ოზურგეთში ფეხბურთის ფინსპლან კალიან შუშუყო ხელი კლასიკური ფეხბურთის განვითარებაში შემოქმედში, რაშიც დიდი ფვლილი შიტიანა ტოგო ღუმბაძე და თავადაც პარტი ფეხბურთელი იყო. ფეხბურთის განვითარებაში ოზურგეთში იმანაც შუშუყო ხელი, რომ ოზურგეთის ნაკრები გუნდი ხშირად ჩადიოდა შემოქმედსა და სხვა სოფლებში“ — წერდა 1961 წელს თავის მოგონებებში ოზურგეთში ფეხბურთის განვითარების ერთ-ერთი აქტივისტი ჟორა თაყაიშვილი.

წარმატებული ფეხბურთელი იყო ტოგო ღუმბაძის ვაჟი გივი ღუმბაძე. ასევე წარმატებით წვრთნიდა იგი შემოქმედის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდს.

1982 წელს ჩატარდა საქარ-

ადგილი დაიკავეს. (მწვრთნელები გივი ღუმბაძე, ხარიტონ ჩხატარაშვილი).

1989 წელს ტოგო ღუმბაძის, ჟორა თაყაიშვილის მოგონებების, ვალერიან გვეგიანის, კარლო თოხაძის და კოტე გოგატაძის კონსულტაციებით, გამოვეცი საფეხბურთო ცნობარი „ფეხბურთი 89“, რომელიც დიდი ტირაჟით დაიბეჭდა და მთელ საქართველოში გავრცელდა, თუმცა შემდეგ მისი გამოცემა არ მოხერხდა.

ვეფიქრობ ოზურგეთის სპორტის მესვეურებმა უნდა იზრუნონ, რომ, პანდემიის დამთავრების შემდეგ გაიმართოს ტოგო და გივი ღუმბაძეების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, ხოლო ოზურგეთის „მერცხლის“ სტადიონზე, საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყოს გარდაცვლილ და ვეტერან ფეხბურთელთა მუზეუმი, რომლის ექსპონატების შევსებაში გაზეთი „ალიონი“ მიიღებს მონაწილეობას.

ნუზარ ასათიანი

ალიონი 90 1938

შეჯიბრება ვეზურთში

26 სექტემბერს ქ. ცხაკაიაში (ყოფ. სენაკი) ფეხბურთში მეორე კატეგორიის რესპუბლიკური პირველობისათვის-ფინალში ერთმანეთში შეხვდნენ მახარაძისა და ცხაკაიას ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში დაიწყო 5-ნახევარ საათზე. პირველ 5 წუთში ორივე მხარე ენერგიულად ცდილობდა ანგარიშის გახსნას, მაგრამ მეკარეებმა შეძლეს „მკვდარი“ ბურთის აღება.

მე-13 წუთზე კარგი კომბინაციით გატაცებულმა ბურთმა პირველად შეარხია მახარაძელების კარები. 33-ე წუთზე ცხაკაიას ფეხბურთა გუნდი დაჯარიმდა „პენალტით“, რაც კარგად გამოიყენა ამხანაგმა გიორგი თოხაძემ და ზუსტი დარტმით შესძლო ანგარიშის გაქვითვა. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ -1:1.

მეორე ნახევარი დაიწყო მახარაძელების აქტიური შეტევით. 24-ე წუთზე ამხ. კუჭუხიძემ „კორნერის“ ზუსტი დარტმით ბურთი მეორედ მოათავსა ცხაკაიას კარებში. 30-ე წუთზე ცხაკაიას ფეხბურთელებმა შეძლეს ანგარიშის გაქვითვა და თამაში დამთავრდა ფრედ -2:2.

ფეხბურთის ოლიმპიური გათამაშების არსებული წესის მიხედვით

თამაშის ვადა 30 წუთით იქნა გაგრძელებული. დამატებით დანიშნულ დროში ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა და ცუდი ამინდის გამო თამაში შეწყდა.

მახარაძის გუნდის მოთამაშეებიდან კარგად თამაშობდა ცენტრფორვარდი ამხ. გიორგი თოხაძე. ასევე კარგად თამაშობდა მეკარე ამხ. შუტუ სალუქვაძე.

ცხაკაიას გუნდიდან კარგად თამაშობდა მეკარე ამხ. ვოჯუა, რომელმაც მრავალჯერ აიღო „მკვდარი“ ბურთი და იხსნა თავისი გუნდი დამარცხებიდან.

თამაშს ძლიერ კარგად სჯიდა პირველი კატეგორიის მსაჯი ამხ. ლარიონოვი.

მოულოდლად უნდა ითქვას, რომ მახარაძელებმა ვერ გამოავლინეს კოლექტიური თამაშის კლასი.

ცხაკაიას ფეხბურთელები უმეტესად უხეშად თამაშობდნენ. თამაშის პერიოდში მათ მიიღეს 15 ჯარიმა და 12 „კორნერი“, რაც მახარაძელებმა სათანადოდ ვერ გამოიყენეს და მიუხედავად, მოგების დიდი შანსებისა, თამაში დაამთავრეს ფრედ.

ე. სამონია,
შ. თალაკვაძე
№70, 30 სექტემბერი, 1938წ.

სანაშაბო ბაზრობა

კანისქედის დაწყებით სკოლაში მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლის სახელმძღვანელოს უქონლობა.

არა გვაქვს მე-3 კლასის გეოგრაფიის, მეოთხე კლასის ისტორიის და საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელო. სამოსწავლო წლის 1-ლი კვარტალი იწურება და სკოლას ჯერ ერთი ცალი რეკულიც არ მოუღია, რის გამოც არ ტარდება წერა გაკვეთილებზე.

საჭიროა განათლების განყოფილება ჩაერთოს ამ საქმეში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ე. ნიკოლაშვილი
№74, 17 ოქტომბერი, 1938 წ.

ბაზრობა მერიასი

სოფ. მერიასი გაიხსნა საკოლმეურნეო ბაზრობა, რომელიც გაგრძელდება 30 ნოემბრამდე. ბაზრობაში მონაწილეობას იღებს: მერიის, გურიანთის, შრომის, ნატანებისა და კონჭკათის სამომხმარებლო კოოპერაციები. მახარაძის რაიკოოპკავშირმა საკოლმეურნეო ბაზრობაზე გავზავნა 300000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

№83, 21 ნოემბერი, 1938 წ.

„ბუქმწამის“ მშენებლობის შემსახება

გომში მდინარე ბუქუხე შენდება 300 ცხენისძალიანი ელსადგური. ელსადგურის მშენებლობაზე დაიხარჯება ნახევარი მილიონი მანეთი. აღსანიშნავია, რომ ელსადგურის სააღმშენებლო კომიტეტის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

მშენებლობას გომის, წითელმთის და ფატრის კოლმეურნეობი უნდა დაეხმარონ 2 200 კაცდღით და 800 საქონელით, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

მიმდინარე წელს შავი სამუშაო 35 პროცენტით უნდა შესრულდეს, მაგრამ ამ მხრივ დიდი ჩამორჩენაა.

ელსადგურის მშენებლობას ვერც „საქსოფელექტრო“ ხელმძღვანელს წესიერად, ასათვისებელი თანხები ვერ კიდევ არაა გადმორიცხული.

თუ ეს მდგომარეობა დაუწყონელივ არიქნა გამოსწორებული, საფრთხე მოელის ელსადგურის ვადაზე აგების საქმეს.

გომელი.

მშენებლობა მაკვანეთში

მაკვანეთის მშრომელებმა წელს ააგეს ახალი შენობა საექიმო პუნქტისათვის.

აგებულია აგრეთვე შენობა კლუბისათვის, რომელიც 200 კაცს იტევს და ყოველმხრივ მოწყობილია.

მაკვანეთის მშრომელებმა 7 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციასთან მიძღვნილი საზეიმო სხდომა ახალ კლუბში მოაწყვეს.

ს.მ.

№85, 27 ნოემბერი, 1938 წ.

მომლოწანია შეჯიბრება

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა შეჯიბრება სიმძიმეების აწევად.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 ძალოსანი. შეჯიბრება წარმატებით ჩატარდა, დამფარებულ იქნა რაიონის 10 ახალი რეკორდი.

რეკორდები დაამყარეს: მსუბუქ წონაში გიორგი თოხაძემ, (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა მიმა გოვლიძეს) მან ოლიმპიურ სამჭიდში დააგროვა 243 კგ. და 500 გრამი, თავის წონაში დაიჭირა პირველი ადგილი.

მეორე ადგილი მსუბუქ წონაში დაიკავა გერასიმე ქორიძემ და მესამე ადგილი დიმიტრი კუჭუხიძემ. შ. სალუქვაძემ დაამყარა რაიონის ახალი რეკორდი აჭიმვაში, ასჭიმა 68 კგ. (ძველი რეკორდი კი იყო 60 კგრამი).



სკანპორდი

↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗
↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗	↖	↗

პასუხები:

...ლეონტი მელიქიძე - თბილისში დაიბადა 1863 წელს. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი, იყო რედაქტორი „საბჭოთა საქართველო“-ში. მისი ნაშრომები უკავშირდება საბჭოთა მხარდობას საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის და დამარცხების დროს. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „საბჭოთა საქართველო“, „საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული რევოლუცია და მისი დამარცხება“.

ოსმალეთის მიერ აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია

გაზრდილია. დანაშაულის „ალიონი“ №20-25

საჭარის ოკუპაცია. ამერკავკასიის კომისარიატი ოსმალეთთან ბრძოლისათვის მზად არ იყო. ახლად შექმნილი ეროვნული ფორმირებები რიცხობრივად მცირე იყო და არც ბრძოლისათვის იყო მზად. ოსმალეთი კი ომისათვის დიდხანს და სავალდებულოდ ემზადებოდა.

ოსმალეთის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში ერთ-ერთი მთავარი ბათუმის მიმართულება იყო. ბათუმის გამაგრებული რაიონი თავისი ფორტებით (ანარია, სამება, კასაბერი, ერეკ, ბარცხანა, სტეფანოვკა, ბურუნ-თაბი, ჰამდიე და სხვ.) ქმნიდა თავდაცვის სამ ხაზს და მილიანობაში წარმოადგენდა ერთიან გამაგრებულ რაიონს. სამხედრო სპეციალისტების დასკვნით, ბათუმის გამაგრებული რაიონი უნარიანი სარდლობის, მხედრობის დისციპლინის, სამხედრო საჭურვლის, მედიკამენტებისა და სურსათით უზრუნველყოფის პირობებში ექვსი თვის განმავლობაში უზრუნველყოფდა ქალაქის დაცვას. მოუხდავად ამის ოსმალეთს ბათუმის გამაგრებული რაიონი შედარებით ხანმოკლე ბრძოლების შედეგად დაიკავეს, რაც ორხელისუფლიანობით იყო გამოწვეული. ნოე რამიშვილი ბათუმის გამაგრებული რაიონის გაზრდას ითხოვდა, ეგვიპტის გეოგრაფი სამტრედიდან ბათუმისაკენ მიხალისეთა ახალ-ახალ რაზმებს ავსებდა. გამაგრებული რაიონის სარდლობა კი მიიჩნევდა, რომ გარნიზონის გაზრდა საჭირო აღარ იყო. უფრო მეტიც, თავდაცვითი ბრძოლებისათვის 12.000 მებრძოლიც კი ზედმეტი იყო.

სამხედროები დაეინებით მოითხოვდნენ, რომ რეზერვისათვის ჩაქვის რაიონისათვის მოეყარათ თავი, რათა ოსმალეთს ბათუმისათვის ჩრდილოეთის მხრიდან არ შეეძლო. ამის აუცილებლობაში ბოლოს ნოე რამიშვილი და ეგვიპტის გეოგრაფი დარწმუნდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო.

აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის დაკავების მიზნით ოსმალეთის მიერ დაწყებული სპარსული მოქმედების ქრონიკა ასეთი იყო:

1918 წლის 27 მარტი (9 აპრილი), 14 საათი – შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე ჭორონის შესართავთან სროლა მიმდინარეობდა. ბათუმიდან აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები თვითნებურად დატოვა გარნიზონმა, რომელიც დაუცხვრელი დაიკავეს ოსმალებმა. სიმაღლეების დაბრუნების ყველა ცდა წარუმატებლად დამთავრდა. **ჩაქვის** რაიონში ოსმალთა შემოტევა მოგერიებულ იქნა. 26-27 მარტს დამით დაუდგენელმა პირებმა მწვაზე კონცხთან რკინიგზის ხაზი აყარეს.

1918 წლის 28 მარტი (10 აპრილი), 12 საათი – შავი ზღვის სანაპიროზე რამ-

დენიმე ადგილას სროლა ისმოდა. ოსმალების მიერ ზღვიდან ხმელეთზე გადმოსვლის მცდელობა აღიკვეთა სამხედრო კრეისერის არტილერიისა და სანაპიროს არტილერიის ერთობლივი მოქმედებით. ზღვის სანაპიროზე, სოფელ **მაკრალოან**, მდგარ სამხედრო კრეისერს ოსმალებმა ცეცხლი გაუხსნეს. **სარიყაშიშთან** და **ყარისის** ჩრდილო-აღმოსავლეთით შეტევა განხორციელდა ქრთითა რაზმებზე, რომლებიც მარცვით იყვნენ დაკავებული. სარიყაშიშთან შეტევაზე გადმოსული ოსმალები ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ, **ყალიზმანის** გზაზე მიმავალი ქრთითი მარცვლების რაზმები უკუვუდებულ იქნენ.

1918 წლის 29 მარტი (11 აპრილი), 12 საათი – ჭორონის შესართავთან და ჩაქვი-ქობულეთის ხაზზე სროლები მიმდინარეობდა. ოსმალებმა ბათუმის სანაპირო სიმაგრეები დაბომბეს. იმდროულად ერეკის მიიდან ქალაქს ცეცხლი გაუხსნა ოსმალეთის არტილერიამ.


1918 წლის 30 მარტი (12 აპრილი), 12 საათი – 29 მარტს, 18 საათზე, ტრაპიზონიდან ვეპზი ფაშამ **მისალიოვის** სიმაგრის კომენდანტს დანებება მოითხოვა, ოსმალების მოთხოვნა შესრულდა. 28 მარტს 19 საათზე სარიყაშიშის მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდა 150-200 ოსმალთა ცხენოსანი და ქვეითი, შეტევა უკუვუდებულ იქნა.

1918 წლის 31 მარტი (13 აპრილი), 12 საათი – ფორტებზე რაიმი მნიშვნელოვანი ბრძოლები არ მიმდინარეობდა.

1918 წლის 26 მარტს (8 აპრილიდან) ბათუმი ფაქტობრივად აღყაში მოექცა. რკინიგზითა და ავტომობილებით სამტრედიისაკენ მიმართა სანიჭაოლი გახდა. ბათუმის გამაგრებული რაიონი უიმელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მს შემდეგ, რაც 28 მარტს (10 აპრილს) ბათუმიდან სოფლაგანო კრეისერი „კაროლ კარლი“ და სამხედრო გემების დიდი ნაწილი გაიპარა.

ბათუმში თავდაცვის გაუმჯობესების მიზნით თბილისიდან სხვადასხვა დროს ჩაივინდნენ ეგვიპტის **გეოგრაფი**, **ვალიკო ვუილი**, **ნოე ჟორდანი**, **ნოე რამიშვილი**, **ვლას მელაძე** და ეროვნული საბჭოსის სხვა წევრები.

ბათუმის დასაკავებლად ოსმალეთის სარდლობამ დასვლბებთ 4.000 ოფიცერსა და ჯარისკაცს მოუყარა თავი. რეგულარულ ჯარს მხარს უჭერდა რამდენიმე ათასი მოლაშქრე („ჩეტინი“). ეს სამხედრო ძალა ბათუმისათვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რომ არა სამხედროების მიერ ფორტების გამაგრების პროცესში დაშვებული შეცდომები. 1918 წლის 28



მარტს (10 აპრილს) ტრაპიზონში მიმდინარე საზავო კონფერენციაზე ამერკავკასიის დელეგაციამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები ცნო. 29 მარტს (11 აპრილს) **ფერიკ ვეპზი ფაშას** მიერ გამოგზავნილმა ოსმალთა ოფიცერმა ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს ულტიმატუმი გადასცა. ოსმალები 48 საათის განმავლობაში ბათუმის დაცვას, ქალაქიდან ჯარების გაყვანას და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომზე არსებული საზღვრის აღდგენას ითხოვდნენ.

1918 წლის 31 მარტს (13 აპრილს) ოსმალებმა ბათუმის გამაგრებული რაიონის დაკავების მიზნით დიდი შეტევა დაიწყეს. ოსმალები სამხრიდან უტყდნენ. 1 (4) აპრილს, დღის 11 საათიდან სამხედრო-სტრატეგიული ვითარება გაუარესდა. ქართულმა ჯარმა სარდლობის ბრძანების გარეშე უბრძოლველად მიატოვეს კასაბრისა და ანარის ფორტები. უკანდასხული ქართული ჯარი ბათუმს მოაწყდა. 1918 წლის 31 მარტს (13 აპრილს), შუადღისას, ფორტის ხაზმა ბათუმის რკინიგზის სამარგო სადგურთან და მენაუთებთა დასახლებაში გადმოინაცვლა. დაიწყო სამოქალაქო მოსახლეობისა და ჯარების პანიკური ვეკუაცია. შექმნილ ვითარებაში ბათუმის თავდაცვის შტაბში გადაწყვიდა ნავსადგურთან სასწრაფოდ გავიქანათ ყველა მცურავი საშუალება, ბარჯები და აქვები. უკანასკნელი კატარღით ბათუმი დატოვეს ნოე

რამიშვილმა, ქალაქის სათათბიროს თავმჯდომარე ბულგაკოვმა და გენერალმა მდგანმა. 1918 წლის 1 (14) აპრილს ოსმალებმა ბათუმი მილიანად დაიკავეს. ოსმალეთის სარდლობამ ბათუმში გადმოსხა და შემდეგ ქობულეთში გადაიყვანა გალიპოლის დივიზია 7.000 ოფიცერისა და ჯარისკაცის შემადგენლობით.

ოსმალეთის ჯარების შეტევა ბათუმის დაკავების შემდეგაც გრძელდებოდა. 1918 წლის 4 (17) აპრილს ოსმალებმა ქობულეთი დაიკავეს, ხოლო 8 (21) აპრილს **ოზურგეთი** მასხრის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 5 (18) აპრილს აბასთუმელ თათართა რაზმმა (800 მებრძოლი) იმერეთიდან სამცხე-ჯავახეთში გადასახლებული ჯარის ულელტბილი დაიკავა. 1918 წლის 9 (22) აპრილს ვეპზი ფაშამ აკაკი ჩხენკელს აცნობა, რომ ოსმალეთის ჯარების მიერ საბრძოლო მოქმედების განახლება გამოწვეული იყო ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების ჩაშლით. ვეპზი ფაშა საზავო მოლაპარაკების გაგრძელებას და ზავის დადებას ამერკავკასიის პოზიციას უკავშირებდა და აკაკი ჩხენკელს ურჩევდა საზავო კონფერენციის ჩაშლის შემდეგ შექმნილ ვითარებაში კარგად გარკვეულიყო. ვეპზი ფაშამ აკაკი ჩხენკელისაგან ითხოვა:

1. **უშოკლეს ვადამ ეცნობებინ თანხმ იყო თუ არა ამერკავკასია ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელებაზე და მზად იყო თუ არა საზავო მოლაპარაკებაზე დელეგაციის გაგზავნისათვის;**

2. **მზად იყო თუ არა ამერკავკასია სამხედრო ძალისაგან დაეცა ის ტერიტორია, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა.**

როგორც ვხედავთ ოსმალეთი უკან არ იხვედა და პრინციპულად ითხოვდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების უპირობოდ შესრულებას.

2. სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია. 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრარეგულაციური სხელმწიფო გადატრიალების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი ბეების ინიციატივით ისლამის აღმსარებელმა მოსახლეობამ შეიარაღებული რაზმების შექმნა დაიწყეს. მუსლიმთა რაზმებმა უნდადობა გამოუცხადეს ამერკავკასიის კომისარიატს და 1917 წლის 27 დეკემბერს ალფა შემოარტყეს **ახალციხეს** მთაწვეები აარადის საწყობებისა და ჯარის განარბების გადაცემას ითხოვდნენ. ავანგიბულ მუსლიმთა ერთ-ერთი მეთაური ბანში ბეი მამაღლი ახალციხის მაზრის კომისარს შოლვა მაღლაკელიძეს სომეხთა ხოცვა-ჟლეტის მოწყობის აუცილებლობაში არწმუნებდა. 1918 წლის თებერვალში ავანგიბულმა ახალციხეს ალფა მოხსნეს, თუმცა ტრაპიზონის საზავო კონფერენციის შეწყვეტისა და ოსმალეთის არმიის შეტევის დაწყების შემდეგ ისინი კვლავ ავანგიბუნდნენ. უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა არტანუჯის, ერუშეთის, შუშეთისა და ფოცხეთის რაიონებში, სადაც მუსლიმმა ბეებმა ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად ჩააბნეს ავანგიბუნაში. 1918 წლის 26 აპრილს ავანგიბულმა კვლავ შემოარტყეს ალფა ახალციხეს. ქართული ჯარი გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილის (1860-1920) მეთაურობით მებრძოდ იცავდა ახალციხის მაზრასა და ქალაქ ახალციხეს. 1918 წლის 26 მაისს ახალციხის დამცველი ქართული ჯარი და ადგილობრივი ქართველობა ალფაშემოარტყულ ქალაქში შეხვდა. მათ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ რამდენიმე დღის დავებებით შეიტყვეს. 1918 წლის 4 თინის საქართველო-ოსმალეთის ბათუმის ზავის თანახმად, მთელი სამცხე-ჯავახეთი გარდა აწყურისა და აბასთუმისა, ოსმალეთის ხელში გადავიდა. ქართულმა ჯარმა ახალციხე დატოვა.

(გაზრდილია იძნება)
ხატანა გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო (1918) გვ. 134-138

ალიონი 90 1938

დ. ხვინგიამ (მძიმე წონა) ასკიმა (ორთავე ხელით) 68 კგ-რამი, აიტაცა ორთავე ხელით 75 კილოგრამი და ეს ჩაითვადა რეკორდად მძიმე წონაში.

კოტე ჩხაიძე

გლოტონტი ხელში
განსამდნი არსად არის
დიდი სიძნელის გადალახვა მოუხდება კაცს, რომ ქალაქიდან უმარცხოდ გავიდეს ლიხაურისაკენ. უფრო მეტად პარასკევის და კვირას არის ხიფათი მოსალოდნელი.

ამ ადგილს ჩვეულებრივ „ბაზრის თავს“ უწოდებენ. აქ თითქმის ყველა მხრიდან იყრის თავს ქუჩები და გასაკანი არსად არის.

აქვეა სამკვდლოები, პურის სავაჭრო, მეთუნეუქე, მეკვანძე, ნავთის სავაჭრო. აქვე ბაზრის დარღიმანდებს

ფულის მახე დაუეიათ...
სულ რაღაც ათი კვადრატული მეტრი თუ იქნება „ბაზრის თავის“ მოკულობა. ბაზრის წყალი გვერდზეა ხიდიოთ. აქვე ჩერდება ლიხაურისაკენ, ანასეულისაკენ და ქობულეთისაკენ მიმავალი ეტლი, ავტომანქანები.

ქუჩები ძველებურად ვიწროა, ტალახიანი, მას დღემდე არ შეხებია სათანადო ორგანოს მზრუნველი ხელი. დროა, დიდი ხანია დროა, სერიოზული ყურადღება მიექცეს საქალაქო მეურნეობის ამ „ვიწრო ადგილს.“

მუხამედ მურვანიძე
№91, 15 დეკემბერი, 1938 წ.

ჭაღრაკი
ამს. შიშოვის მითდრო-ული სანსი
19 დეკემბერს, მანარადის სოცკულ-

ტურის მუშაკთა სახლში საკავშირო პირველი კატეგორიის მოჭადრაკემ ამს. **შიშოვმა** (თბილისი) ჩაატარა ერთდროული ჭადრაკის თამაშის სეანსი 31 დაფაზე მახარაძელი მოჭადრაკეების წინააღმდეგ. მაყურებელი სპორტული ინტერესით ათვალიერებენ მახარაძელი ახალგაზრდა მოჭადრაკეების თამაშს. მალე დაწინაურდა მახარაძის საშუალო სკოლის მოწაფე **ბანა მეჭაბიშვილი**, მან ერთგული და დაკვირვებული თამაშის შედეგად გამაჯვებაშდის მიიყვანა პარტიკა. ასევე კარგად თამაშობდნენ: ვახტანგ ურუშაძე, ალიოშა მკურნალი, მგარამ მათ ვერ შემდეს ვადამწვევტ მომენტში უპირატესობის შენარჩუნება და წააგენ პარტიკები. კარგად თამაშობდნენ მახარაძელი მესამე კატეგორიული მოჭადრაკეები: გ. კალანდარიშვილი, ალ. კალანაძე, ბ.

ტოროტაძე, ა. ტიმოფეევი და ი. ორაგველიძე, რომლებმაც ყაიშზე დაამთავრეს თავიანთი პარტიკები მოჭადრაკე შიშოვთან. ამრიგად, შიშოვმა 31 პარტიიდან მოიგო 24, წააგო 2 პარტიკა, ბ. მეჭაბიშვილთან და გ. ცინცაძესთან. ყაიშზე კი დამთავრდა 5 პარტიკა...
№94, 25 დეკემბერი, 1938 წ.

კულტურის სახლი
1938 წლის პირველი სექტემბრიდან მახარაძეში დაარსდა კულტურის სარაიონი სახლი. ამ მოკლე დროში კულტურის სახლმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კულტმასობრივ დარგში.
კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია ჭადრაკის შემსწავლელი წრე, მომღერალთა გუნდი, მეჩონგურეთა

ანსამბლი და სხვა თვითმოქმედი წრეები. მათ შორის გამოირჩევა მომღერალთა გუნდი და მეჩონგურეთა ანსამბლი ლ. ერქოშიაშვილის ხელმძღვანელობით.

კულტურის სახლში სასოფლო კლუბებთან და ქოსსამკითხველოებებთან არსებული თვითმოქმედი წრეების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება, გარდა დრამატული და ლიტერატურული წრეებისა, ვერ ვერ უზრუნველყო. სოფლებში უსუსტადაა გაშლილი ანტირელიგიური პროპაგანდა, დღემდე ჩატარებულია სულ ორი მოხსენება.

კულტურის სახლი ამ ნაკლს უახლოეს დროში გამოასწორებს.
ი. სირაძე.
№95, 28 დეკემბერი, 1938 წ.

დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავი აღნიშნეს



დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავი აღნიშნეს. ერთიანობის და ძლიერების, ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლო და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გასაოცარი სამხედრო-სტრატეგიული წარმატების მაგალითია - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „დიდგორის ბრძოლაზე“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოს მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის საერთო, მიზანმიმართული, ყოველდღიური შრომა და ბრძოლა საქართველოს ძლიერების და ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობისა და მშვიდობის წინაპირობაა.

„დღეს მთელი საქართველო საკუთარი ისტორიის უდიდეს თარიღს - დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავს აღნიშნავს.“

დიდგორის ბრძოლა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის და ძლიერების, ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლოა. ამავე დროს ეს არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გასაოცარი სამხედრო-სტრატეგიული წარმატების მაგალითი.

დიდგორზე ქართულმა მხედრობამ შეუძლებელი შეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გამარჯვებას დავითის ისტორიკოსმა „ძლევა საკვირველი“ უწოდა.

ქართველობამ - ერმა და ბერმა, დიდი დავით აღმაშენებლის მეთაურობით ამ გამარჯვებას ერთიანობით, მიზანმიმართული შრომით, სიბრძნით და რა თქმა უნდა, სამშობლოსთვის თავგანწირვით მიაღწია.

დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვების გარეშე არ იქნებოდა საქართველოს ოქროს ხანა - დავითისა და თამარის, რუსთაველისა და ოპიზების ეპოქა, ივანეშვილისა და გელათის

აკადემიები, ქართული ეკონომიკისა და განათლების არანაწილი აღმავლობა - ყველაფერი ის, რითაც დღესაც არა მხოლოდ სამართლიანად ვამაყობთ, არამედ სამომავლოდც ორიენტირებად ვისახავთ.

მე აქვე მინდა გავიხსენო ჩვენი პატრიარქის, უწმინდესის სიტყვები - დიდგორი ჯერ კიდევ მოსავება! დღეს, დიდგორის ბრძოლის ცოცხალი მაგალითი გვასწავლის, რომ ერთიანობა ყველაზე დიდი ძალაა. ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის საერთო, მიზანმიმართული, ყოველდღიური შრომა და ბრძოლა საქართველოს ძლიერების, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობისა და მშვიდობის წინაპირობაა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ დღეს ჩვენს ხალხს და გამოვხატავ, გაძლიერებასა და განვითარებას ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დიდგორის ბრძოლის 900 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამხედრო მოსამსახურეები პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი სპეციალური მედლით „დიდგორი 900“ დაჯილდოვდნენ. ჯილდოები მათ ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად გადასცა.

საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და დიდგორის ბრძოლის პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავამ და თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

„დიდგორი 2021“, პანდემიიდან გამომდინარე, მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა. ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბახმაროში დიდი გაუქმდა

ტრადიციული დიდი, რომელიც კურორტს ბახმაროში, თითქმის საუკუნე ითვლის წელს არ ჩატარდება. ამის მიზეზი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობაა.

„ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო წელს ბახმაროში ტრადიციული დიდი არ ჩატარდება, - აღნიშნავენ გურიის გუბერნიაში.“

შეგახსენებთ, რომ ბახმაროში დიდი ყოველ ზაფხულს, 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე იმართებოდა.



ეპრაზიის თეატრების ასოციაციის პირველი გაფართოებული სესია ბაიბართა

5-8 აგვისტოს, თურქეთის ქალაქ სტამბულში, ეპრაზიის თეატრების ასოციაციის პირველი გაფართოებული სესია გაიმართა, რომელშიც უკვე მსოფლიოს 21 ქვეყანაა გაერთიანებული. გაფართოებულ სესიაში მონაწილეობა მიიღო ეპრაზიის თეატრების ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და პრეზიდენტის წევრმა, ოზურგეთის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და ნოდარ ღუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ. როგორც ბატონმა ვასილმა გვითხრა: - ფორუმის ფარგლებში განხილული იყო 12 ძირითადი საკითხი, რომელთა შორისაა თეატრის შორის საერთაშორისო თანამშრომლობა, გამოცდილ-

ბათა გაზიარება, კოპროდუქციების შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება, საზაფხულო სკოლები, ფესტივალების დაგეგმვა და კოორდინაცია. მომდევნო შეხვედრა მიმდინარე წლის 14-18 ოქტომბერს შედგება პორტუგალიის ქალაქ ბრაგაში, სადაც კონკრეტულად განხილული იქნება ასოციაციის მიერ განხორციელებული გეგმები. მომდევნო წლის მაისში კი მარმარინოსში შედგება საზაფხულო სკოლა, მასტერკლასები და ვორქშოპები ახალგაზრდა მსახიობებისა და რეჟისორებისთვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ვასილ ჩიგოგიძე სათეატრო ხელოვნების სხვა ოსტატებთან ერთად.



მასობრივი ვაქცინაციის პროცესში ოზურგეთის თეატრის თანამშრომლები ჩაერთვნენ

ალიონი. 12 აგვისტოს, COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესში კულტურის სამინისტროს სსიპ ოზურგეთის ა. წუწუნავას სახელობის თეატრის თანამშრომლები ჩაერთვნენ, რომელთაც აცრა ჯერ ჩატარებული არ აქვთ. თანამშრომლების შინაპარამ - ით ვაქცინაცია ოზურგეთში, კლინიკა „მედალაში“ ჩატარდა. პროცესს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე დაესწრო. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ჩართულობით, ხელოვნების/კულტურის სფეროს წარმომადგენლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. პროცესში თეატრები, მუზეუმები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები და კულტურის სხვადასხვა ორგანიზაცია არის ჩართული.



ზაზა ჯინჭარაძე, ოზურგეთის თეატრის დირექტორი: - „დღეს თეატრის თანამშრომლები მოვედით ოზურგეთის კლინიკაში „მედალაში“, ვიკეთებთ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას. დიდი მადლობა კულტურის სამინისტროს ჩვენი ვიზიტის დაჯავშნისათვის და ორგანიზებისათვის. დიდი მადლობა კლინიკის ხელმძღვანელობას, ყველა ექიმს,

ექთანს. ძალიან დიდი შრომა ჩადებული ვაქცინაციის პროცესის კარგად წარმართვისთვის. ჩვენი სლოგანია - აიცერი, გადარჩები. მოუწოდებ კოლეგებს, მეგობრებს, მეზობლებს, ყველას გადავრჩეთ, ავიცრათ და დავასრულოთ ეს საშინელება რასაც კოვიდ-19 და პანდემია ჰქვია.“

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +17+22	წვიმა +17+24	მზე, ღრუბლი +19+26	წვიმა +16+22	ღრუბლი +17+24	მზე, ღრუბლი +17+23	წვიმა +17+23
16 აგვისტო ორშაბათი	17 აგვისტო სამშაბათი	18 აგვისტო ოთხშაბათი	19 აგვისტო ხუთშაბათი	20 აგვისტო პარასკევი	21 აგვისტო შაბათი	22 აგვისტო კვირა